CULTURAL IDENTITY AND SOCIETAL INTEGRATION CHALLENGES OF ETHNIC MINORITIES IN GEORGIA

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობა და საქართველოში მათი ინტეგრაციის გამოწვევები[1]

GIORGI SORDIA

Doctor of History, Associate Professor at the University of Georgia
Address: 77A Merab Kostava St, Tbilisi, Georgia
599380137, giorgisordia@gmail.com, ORCID: 0009-0005-5663-9713

MERAB DATUASHVILI

Doctor of Engineering, Associate Professor at Akaki Tsereteli State University
Address: 59 Tamar Mefe St, Kutaisi, Georgia
595097222, Merab.datuashvili@atsu.edu.ge, ORCID: 0009-0006-7299-064X

VAZHA DATUASHVILI

International Republican Institute Georgia (IRI), Administrative and Program Associate,
Address: 73 Z. Paliashvili St, Tbilisi, Georgia
598913199, Vazha.datuashvili@tsu.ge, ORCID: 0009-0009-8444-4488

Abstract

The article is presented through the project "Study of the factors of formation and planning of traditional clothes of ethnic, religious and national minorities in Georgia (FR №–22–2598)" implemented by Akaki Tsereteli State University, funded by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

The topics of integration of ethnic, national and religious minorities have always held an important place in the formation and development of Georgian culture. These topics are significant and relevant in the policy-making processes of modern Georgia in various fields. This is vivid by the newly adopted National Strategy for Civic Equality and Integration 2021 - 2030, information documents prepared by the Public Defender of Georgia and its centers, reports prepared by civil society organizations and the Association Agreement between Georgia and the EU, noting that the state must ensure further strengthening respect for fundamental freedoms, human rights, including the rights of persons belonging to minorities, democratic principles, the rule of law, and good governance, based on common values of the Parties.

[1]სტატია შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის ფარგლებში სახელწოდებით „ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ტრადიციული სამოსის ფორმირების ფაქტორებისა და დაგეგმარების თავისებურებების კვლევა საქართველოში“ (გრანტის ნომერი FR №–22–2598). პროექტი მხარდაჭერილია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

The article explores the cultural identity of ethnic minorities residing in Georgia and the challenges obstructing their integration into society. It addresses aspects including education, language, and material culture. The primary objective is to discuss and analyze various facets of cultural identity among ethnic, religious, and national minorities in Georgia. Moreover, it aims to examine historical manifestations of cultural identity compared with contemporary cases in Georgia. The article also underscores the challenges that hinder the assimilation of these groups into Georgian society. Additionally, reference is made to authoritative state policy documents advocating for a comprehensive approach to address the integration issues facing ethnic, national, and religious minorities.

Keywords: ethnic minority; religion; integration; culture; cultural diversity; traditions.

გიორგი სორდია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
მისამართი: მერაბ კოსტავას ქუჩა #77ა, თბილისი, საქართველო
599380137, giorgisordia@gmail.com, ORCID: 0009-0005-5663-9713

მერაბ დათუაშვილი

ინჟინერიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
მისამართი: თამარ მეფის ქუჩა #59, ქუთაისი, საქართველო
595097222, Merab.datuashvili@atsu.edu.ge, ORCID: 0009-0006-7299-064X

ვაჟა დათუაშვილი

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი საქართველო (IRI)
ადმინისტრაციული და პროგრამული ასისტენტი,
მისამართი: ზაქარია ფალიაშვილის #73, თბილისი, საქართველო
598913199, Vazha.datuashvili@tsu.ge, ORCID: 0009-0009-8444-4488

აბსტრაქტი

ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების თემა ყოველთვის იკავებდა მნიშვნელოვან ადგილს საქართველოს კულტურის ფორმირების და განვითარების საკითხებში. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალურია თანამედროვე ქართული სახელმწიფოს პოლიტიკის განსაზღვრის პროცესებში სხვადასხვა დარგში. ამას მოწმობს ახლად მიღებული სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია, საქართველოს სახალხო დამცველის და მასთან არსებული ცენტრების მიერ მომზადებული საინფორმაციო დოკუმენტები და საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც აზუსტებს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მხარეთა საერთო

ღირებულებებზე დაფუძნებული ფუნდამენტური თავისუფლებები, ადამიანის უფლებები, მათ შორის იმ პირების უფლებები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს. შესაბამისად, სტატიის აქტუალობა გამომდინარეობს ერთიანი საზოგადოების დამკვიდრების შესახებ სახელმწიფოს პოლიტიკიდან და ემსახურება აღნიშნული ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციას მათი ფასეულობების, იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებით.

სტატიაში განხილულია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულ თვითმყოფადობა და საქართველოში მათი ინტეგრაციის შემაფერხებელი საკითხები, მათ შორის განათლების, ენის თუ მატერიალურ კულტურასთან დაკავშირებული თემები. სტატიის მიზანია აღწეროს და განიხილოს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ, რელიგიურ და ეროვნულ უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის სხვადასხვა ელემენტი. ასევე, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს როგორ ხდებოდა კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინება წარსულ დროში და რა ვითარება თანამედროვე საქართველოში ამ კუთხით. ნიშანდობლივი იქნება ასევე აღინიშნოს ის გამოწვევები და შემაფერხებელი ფაქტორები რომლებიც ამ ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციას უკავშირდება. სტატია ასევე ეხმიანება სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებს, სადაც მკაფიოდ არის დაფიქსირებული, რომ ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხები საჭიროებს ყოვლისმომცველ და კომპლექსურ მიდგომას.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობა; რელიგია; ინტეგრაცია; კულტურა; მრავალფეროვნება; ტრადიციები.

შესავალი

საქართველო ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური თვალსაზრისით მრავალფეროვანი სახელმწიფოა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის აღწერის მიხედვით, მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 13.2% სწორედ ეთნიკურ უმცირესობას მიეკუთვნება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ზოგადი მდგომარეობა, შესაბამისი ჯგუფების მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, დიდი რაოდენობით და კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შორის, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხარისხი გაცილებით მაღალ დონეზეა შენარჩუნებული, რასაც ვერ ვიტყვით ურბანულ გარემოსა და სპორადულად მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე. განსხვავებულია ასევე სამოქალაქო ინტეგრაციისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მონაცემებიც. ამ თვალსაზრისით ბევრად უფრო მძაფრი საინტეგრაციო პრობლემები გააჩნიათ ცენტრისგან მოშორებულ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს.

მეთოდები

სტატიის მომზადების დროს გამოყენებულ იქნა სხვადასხვა კვლევის მეთოდი. ყველაზე მნიშვნელოვანია გამოვყოთ სისტემური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველზეც შეგროვებული და გაანალიზებული იქნა მთელი რიგი სამართლებრივი თუ პოლიტიკის დოკუმენტები, რომელიც საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის თემებს მიმოიხილავს. კერძოდ, მოცემული მეთოდით დამუშავდა საკვლევ საკითხებთან დაკავშირებული აკადემიური სტატიები, პუბლიკაციები, პოლიტიკური და სოციალური ანგარიშები/კვლევები თუ სამართლებრივი დოკუმენტები. გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ამას გარდა, პროექტის მიმდინარეობისას, კვლევის ჯგუფმა ჩაატარა ექსპედიციები, რომლის შედეგადაც დაიფარა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის რეგიონების და თბილისის 15 ლოკაცია, რის შედეგადაც გამოკითხული იქნა 11 ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენლები: აზერბაიჯანელები, სომხები, გერმანელები, ქურთები, იეზიდები, უდები, ასურელები, ებრაელები, რუსები, უკრაინელები და ქისტები. ამ ჯგუფებთან პირადი კომუნიკაციით და ექსპედიციების შედეგად შეგროვებული ინფორმაცია იყო პირველწყარო, რომ სიღრმისეულად გამოკვლეულიყო კულტურული თვითმყოფადობის საკითხები და საქართველოში მათი ინტეგრაციის გამოწვევები. სწორედ ამ ასპექტშია მნიშვნელოვანი დაკვირვება-შედარების მეთოდი, რომლის მიხედვითაც კვლევის გუნდმა ანალიზი გაუკეთა საქართველოში წინარე საუკუნეებში როგორი იყო ამ ჯგუფების კულტურული თვითმყოფადობა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის გამოწვევები და რა მდგომარეობაა თანამედროვე საქართველოში ამ კუთხით.

შედეგები

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი სამართლებრივი ინსტრუმენტი ტერმინი ,,უმცირესობის" განმარტებას არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო კონვენციები მკაფიოდ ითვალისწინებენ ამ ჯგუფების სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებებს. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობები ორმაგი გამოწვევის წინაშე დგანან. ერთის მხრივ, ინტეგრირდნენ ქართულ სახელმწიფოებრივ და სამოქალაქო გარემოში, ხოლო მეორეს მხრივ, შეინარჩუნონ საკუთარი ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის გამომხატველი ნიშნები, როგორებიცაა მშობლიური ენა, ტრადიციები, ყოფითი კულტურა თუ სხვა. განათლების სისტემაში გატარებული რეფორმები სათანადოდ ვერ პასუხობს ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარ პრობლემებს, რის შედეგადაც, არაქართულენოვანი სკოლები/სექტორები კვლავ მთელი რიგი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგანან, რომელიც პირდაპირ კავშირშია როგორც სახელმწიფო ენის სწავლებასთან, ასევე ეთნიკური ჯგუფების მშობლიურ ენებზე სახელმძღვანელოების შექმნასა და შესაბამისი ენების პედაგოგების მომზადებასთან. ეთნიკურ უმცირესობათა იდენტობის განმსაზღვრელი ბევრი ასპექტი სრულადაა შენარჩუნებული, თუმცა დროთა განმავლობაში იკარგება ტრადიციული კულტურის მნიშვნელოვანი გამოვლინებები. მაგალითად, ჩატარებული ექსპედიციების მაგალითზე დადგინდა, რომ თითქმის აღარ შემორჩა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ისტორიული და ტრადიციული სამოსისა ნიმუშები. შესაბამისად, საქართველოს კულტურულ პოლიტიკაში, ზოგადი საინტეგრაციო პოლიტიკის ხელშეწყობასთან ერთად, უმნიშვნელოვანეს მიმართულებად უნდა იქცეს თვითმყოფადობის განმსაზღვრელი და დაკარგვის საფრთხის წინაშე მყოფი ეთნიკური კულტურის შენარჩუნება და განვითარება. კულტურული თვითმყოფადობისა და

იდენტობის შენარჩუნებაზე როცა ვსაუბროთ, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო დონეზე ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია და ამ ძეგლების კონსერვაციას ან/და რესტავრაციაზეც უფრო მეტია სამუშაო შესაბამისი სახელმწიფო თუ ადგილობრივი უწყებების მიერ.

მსჯელობა/დისკუსია

უმცირესობის ცნების განსაზღვრება

უპირველესად, სანამ უშუალოდ ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ჯგუფების საქართველოში ინტეგრაციის საკითხებს გავშლით, მანამდე მნიშვნელოვანია აღინიშნოს უშუალოდ უმცირესობის ცნების განსაზღვრებაზე.

არც ერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი სამართლებრივი ინსტრუმენტი ტერმინი ,,უმცირესობის" განმარტებას არ ითვალისწინებს. გაეროს 1992 წლის დეკლარაციის პირველი მუხლი უმცირესობად მიიჩნევს ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და ლინგვისტურ უმცირესობებს, თუმცა ,,უმცირესობის" არ განმარტებას. გაეროს ,,სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი განმარტავს, რომ *,,იმ ქვეყანაში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომელებიც ასეთ უმცირესობას განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია, ან გამოიყენონ მათი მშობლიური ენა".* არც საერთაშორისო პაქტი არ განმარტავს ვინ განეკუთვნებიან უმცირესობებს.

,,უმცირესობების" დეფინიცია არ არის არც პაქტის 27-ე მუხლის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის კომენტარში და არც ევროსაბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენციაში ,,ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ", რომელიც ეროვნული უმცირესობების მომწესრიგებელი სპეციალური საერთაშორისო-სამართლებრივი აქტია. ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის უმცირესობის დეფინიციაზე საერთოევროპული კონსენსუსის არარსებობა უმცირესობების სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური ნიშან-თვისებებითაა განპირობებული.

უმცირესობის ფართოდ აღიარებული განმარტების სირთულე მდგომარეობს იმ სიტუაციურ მრავალფეროვნებაშიც, სადაც უმცირესობების ჯგუფები ცხოვრობენ. ზოგიერთი ჯგუფი ერთად ცხოვრობს, დომინანტური მოსახლეობისგან განცალკევებით, ზოგიერთი ჯგუფი გაბნეულია ქვეყნის მასშტაბით, ზოგიერთ უმცირესობას აქვს ძლიერი კოლექტიური იდენტობის განცდა და ისტორიული მონაცემები, ზოგიერთებს კი საერთო მემკვიდრეობის ფრაგმენტული აღქმა აქვთ (უმცირესობათა უფლებები, საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი 2010 წ.). უმცირესობის განმარტებისას, ობიექტურ ნიშნებთან ერთად, სუბიექტური ნიშნებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. უმცირესობის ერთიანი განმარტების არარსებობის პირობებში, უმცირესობების განმსაზღვრელ ძირითად ნიშნად ჯგუფისადმი ინდივიდის კუთვნილება უნდა იყოს მიჩნეული. უმცირესობის ცნების სუბიექტური მახასიათებელი განმსაზღვრელია ამა თუ იმ ჯგუფის უმცირესობად მიჩნევისთვის. უმცირესობის ცნების სუბიექტური ნიშანი

მდგომარეობს მის არჩევანში, მოექცნენ თუ არა მას, როგორც უმცირესობას (ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019, გვ 10).

ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის განმარტებით, ეროვნული უმცირესობა არის *„ადამიანთა ჯგუფი, რომელთა საერთო რაოდენობა არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა და რომელთა წევრები არიან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური იდენტობის მატარებელი, ვიდრე დომინანტი მოსახლეობა და რომლებსაც აქვთ სურვილი, დაიცვან საკუთარი კულტურა, ტრადიციები, რელიგია და ენა“.* ეროვნული უმცირესობის განმარტებისთვის, ვენეციის კომისია განმსაზღვრელ ფაქტორებად მიიჩნევს უმცირესობის შეფასების სუბიექტური და ობიექტური ნიშნებს, რომლებიც უმცირესობის ცნების განმსაზღვრელი კრიტერიუმებია.

დისკრიმინაციის პრევენციისა და უმცირესობების დაცვის ქვეკომიტეტის გაეროს სპეციალურ მომხსენებლის ფრანცისკო კაპოტორტის განმარტებით *„ეროვნული უმცირესობა არის ჯგუფი, რომელიც რიცხობრივად ჩამორჩება ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას და არის არა დომინანტურ პოზიციაში, რომლის წევრებიც ფლობენ ეთნიკურ, რელიგიურ ან ლინგვისტურ მახასიათებლებს, რაც განსხვავდება დომინანტური მოსახლეობისგან და რომლებიც ინარჩუნებენ სოლიდარობის გრძნობას მათ კულტურასთან, ტრადიციებთან, რელიგიასა და ენასთან მიმართებაში“* (Capotorti, F., (1979), Study on the Rights of Persons Belonging to Ethnic, Religious and Linguistic Minorities, UN, New York, 1-7).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინება, § 4) *„უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობაზე რიცხობრივად მცირე ჯგუფი, რომელსაც არ უკავია გაბატონებული პოზიცია და რომლის წევრებს ახასიათებთ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ნიშნები, რომლებიც მას სხვებისგან განასხვავებენ და გამოხატავს საკუთარი კულტურის, ტრადიციების, რელიგიის და ენის შენარჩუნებისაკენ მიმართულ სოლიდარობის გრძნობას.“*

უმცირესობის ჯგუფების საზოგადოებრივი აღქმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და თანამედროვე გამოწვევები

ამ თავში ყურადღება იქნება გამახვილებული უახლოესი საზოგადოებრივი კვლევის მიგნებებზე. კვლევა ეხება ისეთ სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებს როგორიცაა საზოგადოებრივი აზრის და მათ შორის რა თქმა უნდა უმცირესობების ჯგუფის საზოგადოებრივი პოზიციის გაგებას ისეთ საკითხებზე როგორებიცაა: ქვეყნის სახელმწიფო მოწყობა, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარება თუ სახელმწიფო დონის სხვა პოლიტიკურ გადაწყვეტილებები. ამასთან ყურადღება იქნება გამახვილებული იმ გამოწვევებზე რომელიც ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ქართულ სოციუმში ინტეგრაციას უკავშირდება.

უპირველესად განხილული იქნება ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის დაკვეთით და მასთან კონსულტაციის საფუძველზე ჩატარებული 2023 წლის კვლევის მიგნებები. კვლევა ჩატარდა საქართველოში 14-29 წლის ახალგაზრდების დამოკიდებულებების, აღქმების და მოსაზრებების შესწავლის მიზნით, რომლის რაოდენობრივი მონაცემები მოგროვდა 2022 წლის 30 მაისიდან 2022 წლის 16 ივნისამდე პერიოდში. ყურადღება არის გასამახვილებელი, რომ ეთნიკური

უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები ეთნიკურ ქართველ რესპონდენტებზე უფრო ხშირად ამბობდნენ, რომ არ იციან, ან არც დემოკრატიის მომხრე არიან და არც წინააღმდეგნი. როგორც ეთნიკურად ქართველებში ისე უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდებში არ არის გამოხატული პოლიტიკურ მოვლენებში ჩართვის დიდი სურვილი (70% სრულად არა და 18% ალბათ არა). კვლევები ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები საქართველოში კოლექტივისტური, ოჯახზე ორიენტირებული და ტრადიციული ღირებულებებიდან თანდათან უფრო ე.წ. პოსტ-მატერიალისტური ღირებულებებისკენ იხრებიან, რაც გენდერული თანასწორობის მიმართ გაზრდილი მხარდაჭერისა და უმცირესობების მიმართ მიმღებლობის ზრდაში გამოიხატება. ამასთან, მართალია, ტრადიციები და „თვითტრანსცენდენტურობა“ ორივესთვის ღირებულია, ახალგაზრდებსა და უფროს თაობებს შორის განსხვავება იმაშიც ვლინდება, რომ ახალგაზრდები უფრო ღია არიან საზოგადოებრივი ცვლილებებისა და ახალი გამოწვევების მიმართ.

ემიგრაციაში წასვლა განსაკუთრებით მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს, ვინაიდან მათ უმეტესობას წასვლა ხუთიდან ათ წლამდე პერიოდით (19%) ან სამუდამოდ (14%) სურს – ეს გამოკითხულ ქვეჯგუფებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ითვლება, რომ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია ამაში დიდ როლს თამაშობს (Kitiashvili, Abashidze, and Zhvania, “Access and Barriers to Education). თუმცა, ახალგაზრდების შემთხვევაში, შესაძლოა, იმ ინსტიტუციური ბარიერების გადალახვაც იყოს ამის განმაპირობებელი, რომლის წინაშეც დგანან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოში. მიიჩნევა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს არაერთი წინაღობა ექმნებათ პროფესიული თუ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით საქართველოში. სწორედ ამას მივყავართ სტატიის შემდეგ თემებთან, რომლებიც უშუალოდ ამ გამოწვევებს უფრო ფართოდ გაშლის.

როცა ვსაუბრობთ ემიგრაციასა და ქვეყნიდან გადინებაზე, ნიშანდობლივია ასევე ზოგადი სტატისტიკის მოყვანაც, და შედარება ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის საქართველოდან გადინების ტენდენციასთან. მოსახლეობის აღწერის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა ქვეყანაში 1989-დან 2014-მდე შემცირდა 1 613 448-დან 489 240-მდე (ემიგრაციის მაჩვენებელი - 70 %-მდე). მაშინ როდესაც, ეთნიკური ქართველების რაოდენობა შემცირდა 3 787 393-დან 3 224 564-მდე (ემიგრაციის მაჩვენებელი - 15 %-მდე). ასევე აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობების ყველაზე მეტი კლება 1990-იან წლებზე მოდის, რომელიც შეგვიძლია დავუკავშიროთ როგორც საქართველოს მაშინდელ სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს, ასევე ეთნიკურად ქართველი ერის ნაციონალიზმის საკითხების განსაკუთრებულად წინ წამოწევის პრაქტიკებს.

განათლებასთან და ენასთან დაკავშირებული პრობლემები

უკანასკნელი წლების მანძილზე სახელმწიფო უმწვავესი გამოწვევის წინაშე დგას, მოახერხოს ხარისხიანი განათლების შეთავაზება ეთნიკური უმცირესობებისათვის, ხელი შეუწყოს სახელმწიფო ენის გავრცელებას უმცირესობათა შორის და ამავდროულად იზრუნოს ეთნიკურ უმცირესობათა ლინგვისტური თავისებურებების შენარჩუნება-განვითარებისათვის.

სახელმწიფომ, 2005 წლიდან, ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველივე წლიდან დაიწყო „საშეღავათო პოლიტიკის“ შემოღება ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტებთან მიმართებით, თუმცა მოცემულ პოლიტიკას არ ჰქონია შეჯერებული ხასიათი და 2005-2010 წლებში მუდმივად იცვლებოდა ამ პოლიტიკის ფორმები, მეთოდები და მიდგომები.

ხარისხიანი განათლების შეთავაზების კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილება დაინერგა 2010 წლიდან, ე.წ „1+4“ პროგრამა, როდესაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით საშეღავათო პრაქტიკა დაწესდა ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული აბიტურიენტებისათვის. რომლის მიხედვითაც აბიტურიენტი მხოლოდ უნარ-ჩვევების გამოცდას აბარებს. ეს მას საშუალებას აძლევს ჩაირიცხოს სახელმწიფო ენის ერთწლიან მოსამზადებელ კურსზე, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ კი მას საშუალება ეძლევა ქართულ ენაზე მიიღოს სრული საბაკალავრო განათლება ქართულ უმაღლეს სასწავლებელში. 2010 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული უმცირესობების რაოდენობას და შესაბამის დინამიკას თუ გადავავლებთ თვალს აშკარად სახეზე გვაქვს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში უმცირესობათა რაოდენობის მკვეთრი მატება.

განათლების სფეროში არსებული გამოწვევების გარდა, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის ინტეგრაციის ხელისშემშლელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სახელმწიფო ენის, ანუ ქართული ენის არცოდნა იყო. აღსანიშნავია რომ ეს პრობლემა თანამედროვე საქართველოს რეალობაში უფრო აქტუალური და ხილულია ვიდრე საბჭოთა პერიოდის საქართველოში. მართალია ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, თუ უმცირესობათა რა რაოდენობა ფლობს ქართულ ენას, თუმცა ემპირიული დაკვირვებით თუ ვიმსჯელებთ, ადვილი დასადგენია, რომ კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, მოსახლეობის უმეტესობა, განსაკურებით, საშუალო და უფროსი ასაკის მოქალაქეები სუსტად ან საერთოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას. გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა დედაქალაქსა და სხვა ურბანულ გარემოში მცხოვრებ უმცირესობებს შორის, სადაც იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეთნიკური უმცირესობები ძირითადად სათანადო დონეზე ფლობენ ქართულ ენას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში, მნიშვნელოვანი პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება, რაც ძირითადად განპირობებულია უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობებისათვის საშეღავათო პრაქტიკის დანერგვის კუთხით, რამაც მკვეთრად გაზარდა ქართულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, ქართულენოვან პროგრამებზე ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობა. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ სამომავლოდ ქართული ენის ფლობის დონე ეთნიკურ უმცირესობებს შორის კიდევ უფრო გაიზრდება.

ინტეგრაციის პოლიტიკის კვალდაკვალ, ასევე მეტად მნიშვნელოვანია ეთნიკურ უმცირესობებში, საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხი. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია მშობლიურ ენის ფლობისა და შენარჩუნების საკითხი. ისევე როგორც სახელმწიფო ენასთან მიმართებაში, მშობლიური ენის ფლობის თვალსაზრისითაც განსხვავებულ ვითარებას ვაწყდებით, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით. ემპირიული დაკვირვების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ყველაზე აქტიურად გამოყენებული და გაქრობის ნაკლები საფრთხის ქვეშ მყოფი ენებია სომხური და აზერბაიჯანული. ამ ენებს მყარი პოზიციები გააჩნიათ შესაბამის რეგიონებში, თუმცა ისინი უკვე ნაკლებად გამოიყენება ყოველდღიური ურთიერთობებისათვის თბილისსა და სხვა დიდ საქალაქო დასახლებებში. სომხურისა და აზერბაიჯანულის მსგავსად, კვლად აქტიურად გამოყენებადი ენაა რუსული, რომელიც მშობლიურ ენას წარმოადგენს როგორც საქართველოში მცხოვრები

ეთნიკური რუსებისათვის და სლავური წარმოშობის ხალხებისათვის, ასევე ზოგიერთი სხვა ეთნოსისთვისაც. საკუთარ ეროვნულ თვითმყოფადობას მნიშვნელოვნად აძლიერებს ასევე ჩეჩნური ენა საქართველოში მცხოვრები ქისტებისათვის.

სხვა ენებს რაც შეეხება, ტენდენცია არც თუ პოზიტიურია. მაგალითად ისეთი ტრადიციულ ენები, როგორებიცაა ოსური, კურმანჯი (ქურთული), ბერძნული და სხვები, მართალია ჯერ კიდევ გამოიყენება, თუმცა სულ უფრო მცირე დოზებით. ზოგიერთი მცირერიცხოვანი ეთნოსის ენები კი სრული გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე იმყოფებიან, მაგალითად ისეთი ენები როგორებიცაა უდიური, არამეული (ასურული) თუ ბაცბური. ლინგვისტური თვალსაზრისით, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის გადარჩენისა და განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს პრაქტიკას წარმოადგენს საგანმანათლებლო პოლიტიკის ის მიმართულება, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ სრულფასოვანი საშუალო განათლება საკუთარ მშობლიურ ენაზე. თუმცა ასეთი შესაძლებლობა დანერგილია მხოლოდ სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი მოსწავლეებისათვის. მოცემული მომენტისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში 213 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 77 არაქართულენოვანი სექტორია. 213 არაქართულენოვანი საჯარო სკოლიდან უმეტესობა 117 წარმოადგენს სომხურენოვან სკოლას, 85 აზერბაიჯანულენოვანს, ხოლო 11 რუსულენოვანს. 77 არაქართულენოვანი სექტორიდან კი 31 არის ქართულ-რუსული, 28 ქართულ-აზერბაიჯანული, 8 ქართულ-სომხური, 7 ქართულ-სომხურ-რუსული და 3 ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული. მცირერიცხოვანი ენების გადარჩენის კუთხით კი უნდა დასახელდეს 2016 წლიდან დანერგილი პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს შერჩეული ენების, ფაკულტატურ საწყისებზე, საჯარო სკოლებში სწავლებას. ამ ეტაპისათვის ეს გადაწყვეტილება ეხება შემდეგ ენებს: ასურული, ავარული, ქისტური (ჩეჩნური), უდიური, კურმანჯი (ქურთული) და ოსური.

მსოფლიოს ბანკის მიერ 2014 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ხშირად იყვნენ განათლების სისტემიდან, მათ შორის უმაღლესი განათლებიდან გათიშულნი. იგივე კვლევა ყურადღებას ამახვილებს სოციალური ინკლუზიურობის სისტემის არარსებობაზეც, რაც ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს (მსოფლიო ბანკი (2014), „საქართველო: ტექნიკური დახმარება განათლების სექტორის სტრატეგიის მომზადების მხარდასაჭერად“ N: ACS11059). ნიშანდობლივია ასევე აღინიშნოს საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წელი ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მხრიდან სახელმწიფო ენის ცოდნის გამოწვევებზე შემდეგ მიგნებებზე ამახვილებს ყურადღებას. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოების შექმნა და შესაბამისი ენების პედაგოგების მომზადება, გასული წლების მსგავსად, კვლავ სისტემური პრობლემაა (გვ 315). განსაკუთრებით აქტუალურად იკვეთება პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერ, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ფარგლებში, უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოპოვების სირთულე. ეს საკითხი კომპლექსური ხასიათისაა და არაერთი მიზეზით არის გამოწვეული, მათ შორისაა: სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე, უფროსი თაობის მიერ ენის შესწავლის სირთულე და მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული

მეთოდებისა და წამახალისებელი აქტივობების სიმწირე, უფროსი თაობის ადამიანებში ქართული ენის შესწავლის ნაკლები მოტივაცია, სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამების არასაკმარისი გეოგრაფიული არეალი და სხვ (გვ 183).

გასულ წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ თავდაცვის ძალების სამხედრო ნაწილებში განხორციელებული პრევენციული ვიზიტების შედეგად გაირკვა, რომ კვლავ უცვლელია თავდაცვის ძალებში ენობრივი ბარიერით გამოწვეული პრობლემები, რაზეც სახალხო დამცველი არაერთი წელია საუბრობს. წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეთა დიდი ნაწილი არ ფლობს ქართულ ენას (ძირითადად ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეები). ენის არცოდნის გამო ვერ იღებენ სრულფასოვან სამხედრო განათლებას. და სათანადოდ ვერ იგებენ საკუთარი უფლება/მოვალეობების არსს. ასევე, უჭირთ კომუნიკაცია სხვა სამხედრო მოსამსახურეებთან და შეზღუდულად ურთიერთობენ (გვ 342).

უმცირესობათა მატერიალური კულტურის პრობლემები

ენის გარდა, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შენარჩუნებული აქვს ყოფითი კულტურის მრავალი ასპექტი. თუმცა, იდენტობის გამომხატველი ისეთი მნიშვნელოვანი გამოვლინება როგორიცაა ტრადიციული სამოსი და ჩაცმულობა, დროთა გასვლის შედეგად ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. ემპირიული დაკვირვება ადასტურებს, რომ თითქმის არც ერთი ეთნიკური ჯგუფი ყოველდღიურ ცხოვრებაში უკვე აღარ იყენებს ტრადიციული ჩაცმულობის ნიმუშებს. უფრო მეტიც, მხოლოდ ერთეულ ოჯახებშია შემორჩენილი მათი წინაპრების მიერ გამოყენებული სამოსის ცალკეული ფრაგმენტები. გამონაკლისად შეგვიძლია მივიჩნიოთ რუს-დუხობორთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში, სადაც ხანდაზმული ქალბატონები დღემდე ინახავენ მათი ეთნოსისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ ჩაცმულობის ნიმუშებს.

ეთნიკური უმცირესობებისათვის დამახასიათებელი სამოსის ხილვა და შესწავლა ძირითადად შესაძლებელია მხოლოდ სამუზეუმო სივრცეებში, სადაც დაცულია როგორც ორიგინალი ნიმუშები, ასევე გვიანდელი რეკონსტრუქციები და ძველი ფოტო მასალა თუ ცალკეული ჩანახატები სამოსის ნიმუშების გამოსახულებით. ამ თვალსაზრისით რამდენიმე მუზეუმის გამოყოფაა შესაძლებელი, რომლებიც სამოსის გარდა, ზოგადად უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით არის შექმნილი. ეს მუზეუმებია: დავით ბაზოვის სახელობის ქართველ ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი, მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი, ჩერქეზული (ადიღეული) კულტურის ცენტრი, ახალქალაქის, გარდაბნის და ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, დუხობორთა კულტურული ცენტრი „ობოლთა სახლი“, სოფელ დუისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, უდიური კულტურის ცენტრი და მუზეუმი სოფელ ზინობიანში და რუსული კულტურული ცენტრი „სმირნოვების მუზეუმი“.

ეთნიკურ უმცირესობათა ყოფითი კულტურისა და განსაკუთრებით ჩაცმულობის ტრადიციების შენარჩუნების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია სამუსიკო და ქორეოგრაფიული ანსამბლებისა და სტუდიების არსებობა. მსგავსი ანსამბლები არსებობს

თითქმის ყველა ეთნიკური ჯგუფში, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ გამოყენებული კოსტუმები, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად არის მოდიფიცირებული და მხოლოდ ნაწილობრივ ეყრდნობა ავთენტურ და ისტორიულ ჩაცმულობის ნიმუშებს.

ასეთი ზოგადი მდგომარეობის ფონზე იმედის მომცემია საქართველოს მთავრობის მიერ კულტურის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობისა და ზოგადად, უმცირესობათა მატერიალური კულტურის გადარჩენისა და განვითარების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია. (საქართველოს სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი „კულტურის სტრატეგია 2025“). აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავებული ჯგუფების კულტურულ მემკვიდრეობას ზოგად ქართულ კულტურულის მონაპოვრად აღიარებს. სტრატეგიის დოკუმენტით სახელმწიფო ასევე იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს და განავითაროს ყველა განსხვავებული ჯგუფის, თუ ეროვნული უმცირესობის კულტურული მემკვიდრეობა. ეს გამოხატულია კიდეც სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანში, რომლის მიხედვითაც კულტურული მრავალფეროვნება სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვა და ურთიერთქმედება ამდიდრებს სახელმწიფოს და ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას.

ტრადიციულ სამოსთან ერთად ასევე აღსანიშნავია კულტურული თვითმყოფადობის სხვა დამახასიათებელი ნიშნის, კერძოდ საქართველოში კულტურული ძეგლების შენარჩუნების საკითხი. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წელი ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ამ თემასთან დაკავშირებითაც ამახვილებს ყურადღებას თუ რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას. კერძოდ, რომ სახელმწიფო ორგანოებმა, ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ხელი უნდა შეუწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას, აღდგენასა და კულტურული ღონისძიებების განხორციელებას, ასევე, უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია და შეუდგეს ამ ძეგლების კონსერვაციას ან/და რესტავრაციას. ანგარიშში ასევე ყურადღება არის გამახვილებული, რომ უნდა შემუშავდეს გრძელვადიანი გეგმა კონფლიქტის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტებში ინტერეთნიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და თემთა შორის დიალოგის გასაძლიერებლად.

უმცირესობათა დღესასწაულები და ტრადიციები

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურულ თვითმყოფადობას წარმოაჩენს არის სახალხო-რელიგიური დღესასწაულების ტრადიციის შენარჩუნება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა სომხური და აზერბაიჯანული დღესასწაულები. მაგალითად საქართველოში მცხოვრები სომხები დღემდე აღნიშნავენ ისეთ დღესასწაულებს როგორებიცაა სურბ სარქისობა, ვარდავარის დღესასწაული, ბარექენდისა და ხან-ფაშას დღესასწაულები და ჯოვანობა. ანალოგიურად, აზერბაიჯანელებიც მუდმივად და ტრადიციულად აღნიშნავენ როგორც რელიგიურ, ასევე საერო ხასიათის დღესასწაულებს, მაგალითად ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული დღესასწაულია ნოვრუზ ბაირამი. თითოეული ასეთი ღონისძიება არის კარგი შესაძლებლობა ეთნიკური უმცირესობებისათვის საკუთარი კულტურული

მემკვიდრეობის დემონსტრირებისათვის, ის ხელს უწყობს ასევე საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლებას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

დასკვნა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველო ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნებით გამორჩეული ქვეყანაა, სადაც საუკუნეების მანძილზე თავს იყრიდნენ და თანაარსებობდნენ სხვადასხვა ეთნიკური, ლინგვისტური თუ რელიგიური წარმოშობის ხალხები და ეთნოსები. საქართველოს ეთნიკური სურათის ფორმირება ხანგრძლივი ისტორიული, დემოგრაფიული თუ მიგრაციული პროცესების შედეგად მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში გატარებულმა პოლიტიკამ ეთნოსშორის გათიშულობას და დისტანცირებას შეუწყო ხელი. შედეგად, დამოუკიდებელ საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციასთან დაკავშირებული მწვავე პრობლემებმა იჩინა თავი, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია ეთნიკურ უმცირესობებს შორის სახელმწიფო ენის არასათანადო დონეზე ფლობასთან. ეს პრობლემა კი, თავის მხრივ განაპირობებს მათ სუსტ ჩართულობასა და მონაწილეობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში.

საერთო ჯამში, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ორმაგი გამოწვევის წინაშე დგანან. ერთის მხრივ, ინტეგრირდნენ ქართულ სახელმწიფოებრივ და სამოქალაქო გარემოში, ხოლო მეორეს მხრივ, შეინარჩუნონ საკუთარი ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის გამომხატველი ნიშნები, როგორებიცაა მშობლიური ენა, ტრადიციები, ყოფითი კულტურა თუ სხვა. ეთნიკურ უმცირესობათა იდენტობის განმსაზღვრელი ბევრი ასპექტი სრულადაა შენარჩუნებული, თუმცა დროთა განმავლობაში იკარგება ტრადიციული კულტურის მნიშვნელოვანი გამოვლინებები. მაგალითად, თითქმის აღარ შემორჩა ისტორიული და ავთენტური სამოსისა და ჩაცმულობის ნიმუშები. შესაბამისად, საქართველოს კულტურულ პოლიტიკაში, ზოგადი საინტეგრაციო პოლიტიკის ხელშეწყობასთან ერთად, უმნიშვნელოვანეს მიმართულებად უნდა იქცეს თვითმყოფადობის განმსაზღვრელი და დაკარგვის საფრთხის წინაშე მყოფი ეთნიკური კულტურის შენარჩუნება და განვითარება. ინტეგრაციის მიზნებიდან გამომდინარე ასევე ნიშანდობლივია, რომ შემუშავდეს სახელმწიფო დონის გრძელვადიანი გეგმა კონფლიქტის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტებში ინტერეთნიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და თემთა შორის დიალოგის გასაძლიერებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი ,,სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.

ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ,,ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ“ სტრასბურგი, 1.02.1995.

ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 10.

კახიშვილი, ლ. (2018). კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისათვის, *ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის პოლიტიკის ნარკვევი,* თბილისი.

მარქარიანი, ლ. პირველი არხი. (2024). *სურბ სარქისის დღესასწაული საქართველოში.* ხელმისაწვდომია ბმულზე - https://1tv.ge/video/amshabatkviras-surb-sarqisis-dghesaswauli-saqartveloshi/, (ბოლო ნახვა 01.02.2024).

მინდიაშვილი, ბ. ზვიადაძე, ს. (2021). *რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში,* თბილისი: სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის გამოცემა.

ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის. (2017). *ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში.* თბილისი.

ზვიადაძე, ს. სორდია, გ. (2021). *რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში.* თბილისი: ევროპის საბჭოს გამოცემა.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი. (2012). *პრაქტიკული სახელმძღვანელო* უმცირესობათა მართვის პოლიტიკის შესახებ საქართველოში. თბილისი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. (2016). *საქართველოს სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი „კულტურის სტრატეგია 2025“.* დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N 303 დადგენილებით. ხელმისაწვდომია ბმულზე - https://mes.gov.ge/publicInfo/wp-content/uploads/2013/12/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-2025.pdf, (ბოლო ნახვა 01.02.2024).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინება საქმეზე - იურიდიული პირები – ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი "მიზანი-2005"-ის თავმჯდომარე – ნოდარ ცოტნიაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; პარ.4.).

საქართველოს მთავრობა, სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისია. (2022). *სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.* თბილისი.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. (2019). *„1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებისა შესაძლებლობების კვლევა ზოგადი კონტექსტისა და კონკრეტული მაგალითის ანალიზის საფუძველზე“,* გვ 12, ხელმისაწვდომია ბმულზე - https://cciir.ge/images/Research-cciir-2018-14.pdf, (ბოლოს ნახვა -01.02.2024).

საქსტატი. (2014). *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, დემოგრაფიული და სოციალური მახასიათებლები,* ხელმისაწვდომია ბმულზე - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/739/demografiuli-da-sotsialuri-makhasiateblebi, (ბოლო ნახვა 03.02.2024).

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2022). *გაზაფხულის ბუნიობა - ნოვრუზ ბაირამი საქართველოში,* ხელმისაწვდომია ბმულზე: https://socialjustice.org.ge/ka/products/gazafkhulis-bunioba-novruz-bairami-sakartveloshi, (ბოლო ნახვა 01.02.2024).

ფრიდრიხ ებერტის ფონდი. (2023). *საზოგადოებრივი კვლევა: დამოუკიდებელი საქართველოს თაობა: იმედებსა და გაურკვევლობას შორის - ახალგაზრდობის კვლევა 2023.* ხელმისაწვდომია ბმულზე: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/20610.pdf, (ბოლო ნახვა 01.02.2024).

Article 1, Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities, General Assembly resolution 47/135, 18.12.1992.

Capotorti, F. (1979). *Study on the Rights of Persons Belonging to Ethnic, Religious and Linguistic Minorities.* UN, New York, 1-7.

CCPR General Comment No. 23: Article 27 (Rights of Minorities);

European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on non-citizens and minority rights, 69th Plenary Session, 2006, 20. European Commission for Democracy through Law (Venice Commission). Report on non-citizens and minority rights, 69th Plenary Session, 2006, 10.

Minority Rights, International Standards and Guidance for Implementation, OHCHR, 2010,

Report No: ACS11059. ხელმისაწვდომია ბმულზე - https://documents1.worldbank.org/curated/en/505151488895322292/pdf/ACS110590WP0P1485800Box385399B00OUO090.pdf, ბოლოს ნახვა 01.02.2024.

World Bank. (2014). *"Georgia: Technical Assistance to Support Preparation of Education Sector Strategy."*

REFERENCES

gaeros 1966 ts'lis 16 dek'embris saertashoriso p'akt'i ,,samokalako da p'olit'ik'uri uplebebis shesakheb" [UN - International Covenant on Civil and Political Rights, December 16, 1966]

evrop'is sabch'os charcho k'onventsia ,,erovnuli umtsiresobata datsvis shesakheb" st'rasburgi, [Council of Europe - Framework Convention for the Protection of National Minorities] 1.02.1995.

etnik'uri umtsiresobebis uplebebtan dak'avshirebuli saertashoriso st'andart'ebis mimokhilva, EMC, [Review of international standards related to the rights of ethnic minorities], 2019, 10.

k'akhishvili, l. (2018). k'onk'urentsia etnik'uri umtsiresobebis khmebisatvis, etnik'urobisa da mult'ik'ult'uralizmis shests'avlis tsent'ris p'olit'ik'is nark'vevi, [Competition for Ethnic Minority Votes, Policy Essay of the Center for the Study of Ethnicity and Multiculturalism], Tbilisi.

markariani, l. p'irveli arkhi. (2024). surb sarkisis dghesasts'auli sakartveloshi. [Surb Sarkis holiday in Georgia], khelmisats'vdomia bmulze - https://1tv.ge/video/amshabatkviras-surb-sarqisis-dghesaswauli-saqartveloshi/, (bolo nakhva 01.02.2024).

mindiashvili, b. zviadadze, s. (2021). religiuri mravalperovneba sakartveloshi, [Religious Diversity in Georgia], tbilisi: sakhalkho damtsveltan arsebuli t'olerant'obis tsent'ris gamotsema.

niderlandebis inst'it'ut'i mravalp'art'iuli demok'rat'iisatvis. (2017). erovnuli umtsiresobebis int'egratsia sakartveloshi, [Integration of National Minorities in Georgia], Tbilisi.

zviadadze, s. sordia, g. (2021). religiuri da etnik'uri mravalperovneba sakartveloshi, [Religious and Ethnic Diversity in Georgia], Tbilisi: evrop'is sabch'os gamotsema.

umtsiresobata sak'itkhebis evrop'uli tsent'ri. (2012). p'rakt'ik'uli sakhelmdzghvanelo umtsiresobata martvis p'olit'ik'is shesakheb sakartveloshi. Tbilisi.

sakartvelos k'ult'urisa da dzeglta datsvis saminist'ro. (2016). sakartvelos sakhelmts'ipo k'ult'uris p'olit'ik'is dok'ument'i „k'ult'uris st'rat'egia 2025“. [Georgian national cultural policy, “Culture Strategy 2025”], damt'k'itsda sakartvelos mtavrobis 2016 ts'lis 1 ivlisis N 303 dadgenilebit. khelmisats'vdomia bmulze - https://mes.gov.ge/publicInfo/wp-content/uploads/2013/12/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-2025.pdf, (bolo nakhva 01.02.2024).

sakartvelos sak'onst'it'utsio sasamartlos 2006 ts'lis 31 mart'is #2/8/366 ganchineba sakmeze - iuridiuli p'irebi – dzalovani st'rukt'urebis tanamshromelta, vet'eranta da omis monats'ileta uplebebis datsvis saertashoriso k'avshiri ”mizani-2005”-is tavmjdomare – nodar tsot'niashvili da skhvebi sakartvelos p'arlament'is ts'inaaghmdeg; [Ruling #2/8/366 of the Constitutional Court of Georgia dated March 31, 2006 on the case - Legal entities - Chairman of the International Union for the Protection of the Rights of Armed Forces Employees, Veterans and War Participants "Goal-2005" - Nodar Tsotniashvili and others against the Parliament of Georgia], p'ar.4.

sakartvelos mtavroba, sakhelmts'ipo uts'qebatashoriso k'omisia. (2022). samokalako tanasts'orobisa da int'egratsiis sakhelmts'ipo st'rat'egiisa da samokmedo gegmis shesrulebis angarishi, [Implementation Report of the State Strategy and Action Plan for Civil Equality and Integration], Tbilisi.

samokalako int'egratsiisa da erovnebatshorisi urtiertobebis tsent'ri. (2019). „1+4 p'rogramis k'ursdamtavrebulebis dasakmebisa shesadzleblobebis k'vleva zogadi k'ont'ekst'isa da k'onk'ret'uli magalitis analizis sapudzvelze“, [Research on the employment opportunities of graduates of the 1+4 program based on the analysis of the general context and specific example], gv 12, khelmisats'vdomia bmulze - https://cciir.ge/images/Research-cciir-2018-14.pdf, (bolos nakhva -01.02.2024).

sakst'at'i. (2014). mosakhleobis 2014 ts'lis saqoveltao aghts'eris shedegebi, demograpiuli da sotsialuri makhasiateblebi, [The results of the 2014 general census of the population, demographic and social characteristics], khelmisats'vdomia bmulze - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/739/demografiuli-da-sotsialuri-makhasiateblebi, (bolo nakhva 03.02.2024).

sotsialuri samartlianobis tsent'ri. (2022). gazapkhulis bunioba - novruz bairami sakartveloshi, [Spring equinox – The Selebration of Nowruz Bairam in Georgia], khelmisats'vdomia bmulze: https://socialjustice.org.ge/ka/products/gazafkhulis-bunioba-novruz-bairami-sakartveloshi, (bolo nakhva 01.02.2024).

pridrikh ebert'is pondi. (2023). sazogadoebrivi k'vleva: damouk'idebeli sakartvelos taoba: imedebsa da gaurk'vevlobas shoris - akhalgazrdobis k'vleva 2023. [Public Survey: In Between Hopes and Uncertainties - Youth Study 2023], khelmisats'vdomia bmulze: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/20610.pdf, (bolo nakhva 01.02.2024).

Article 1, Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities, General Assembly resolution 47/135, 18.12.1992.

Capotorti, F. (1979). *Study on the Rights of Persons Belonging to Ethnic, Religious and Linguistic Minorities.* UN, New York, 1-7.

CCPR General Comment No. 23: Article 27 (Rights of Minorities);

European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on non-citizens and minority rights, 69th Plenary Session, 2006, 20. European Commission for Democracy through Law (Venice Commission). Report on non-citizens and minority rights, 69th Plenary Session, 2006, 10.

Minority Rights, International Standards and Guidance for Implementation, OHCHR, 2010,

Report No: ACS11059. ხელმისაწვდომია ბმულზე - https://documents1.worldbank.org/curated/en/505151488895322292/pdf/ACS110590WP0P1485800Box385399B00OUO090.pdf, ბოლოს ნახვა 01.02.2024.

World Bank. (2014). *"Georgia: Technical Assistance to Support Preparation of Education Sector Strategy."*